

იანვარი, 2025

კლიმატური დახასიათება

იანვრის დასაწყისში და თვის ბოლოს ამინდს საქართველოში, ძირითადად, განაპირობებდა ქვეყნის ტერიტორიაზე დამყარებული მაღალი წნევის არე, უმეტესად უნალექო ამინდებით. თვის მეორე დეკადაში ადგილი ჰქონდა ხმელთაშუა ზღვაზე და ჩრდილოეთ ევროპაზე განვითარებული ციკლონების აქტივობასთან დაკავშირებული პროცესების ზემოქმედებას, რაც ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე იწვევდა ნალექიან ამინდებს, ზოგან ძლიერი ინტენსივობით. ამასთან, ხმელთაშუაზღვიური ციკლონის წინმსწრებ თბილ ფაზასთან და ასევე, თვის ბოლო რიცხვებში სამხრეთ-დასავლეთიდან თბილი ჰაერის მასების გავრცელებასთან დაკავშირებული იყო თბილი ეპიზოდები და თვის მანძილზე დაფიქსირებული მაღალი ტემპერატურები.

ტემპერატურული რეჟიმის მიხედვით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იანვარი (გასული თვეებისგან განსხვავებით) საკმაოდ თბილი იყო. დაწყებული 1956 წლიდან, მიმდინარე წლის იანვარი იყო რიგით მე-7 ყველაზე თბილი 1966, 1981, 1963, 1958, 2010 და 2021 წლების შემდეგ (ნახ.1).

მიწისპირა ატმოსფერული ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურის გადახრამ მრავალწლიური (1991-2020 წ.წ.) ნორმიდან საშუალოდ +2,+3°C შეადგინა, უდიდესი დადებითი გადახრებით (+3, +3.5°C-მდე), ძირითადად, თბილი დღეების სიხშირის ხარჯზე, რაჭა-ლეჩხუმში და მიმდებარე მთიან რაიონებში. ტემპერატურის უარყოფითი ანომალიები ქვეყნის ფარგლებში არ აღინიშნულა.

თვის საშუალო ტემპერატურა შავი ზღვის სანაპიროსა და კოლხეთის დაბლობზე +7, +11°C, დასავლეთის მთიან რაიონებში და აღმოსავლეთის ვაკე ტერიტორიაზე +2, +6°C ხოლო დანარჩენ მთიან და მაღალმთიან ნაწილში -5, +1°C-ის ფარგლებში აღინიშნა.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმები ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე თვის შუა რიცხვებამდე (9-14 იანვარი) დაფიქსირდა. ტემპერატურამ ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს (+21, +22°C) სამეგრელოს ზღვისპირა და დაბლობ რაიონებში მიაღწია. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას ადგილი არ ქონია.


იანვრის განმავლობაში აბსოლუტური მინიმუმები, ძირითადად, თვის ბოლო დეკადაში აღინიშნა, ყველაზე დაბალი ტემპერატურებით სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ტერიტორიაზე, სადაც ტემპერატურა -15°C, -18°C-მდე დაეცა.

იანვრის თვე ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე ნორმასთან ახლოს, ან უფრო მცირე ნალექიანობით ხასიათდებოდა (ნახ.2), რაც როგორც ჩანს განპირობებული იყო ნალექიან დღეთა სიმცირით. უნალექობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა თვის ბოლო დეკადა. ყველაზე მშრალი პირობები აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქვემო ქართლსა და კახეთში აღინიშნა, სადაც ნალექების რაოდენობა (3-10 მმ) ნორმის 30%-ს არ აღემატებოდა.


ქვეყნის მასშტაბით შედარებით მომატებული ნალექიანობა დაიკვირვებოდა აჭარის შავი ზღვისპირა ზოლში და კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ქვეყნის ტერიტორიაზე ნალექების უდიდესი რაოდენობა (150-200 მმ) დაფიქსირდა, თუმცა თვის ჯამები აქაც საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობების 80-120%-ის, ანუ ნორმის ფარგლებში იყო.

თვის მანძილზე ადგილი ჰქონდა ნალექების არათანაბარ განაწილებას და ნალექის მეტი წილი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, მოვიდა თვის მეორე დეკადაში (14-20 იანვარი), როდესაც აღინიშნა ეპიზოდი გადაბმულად ნალექიანი დღეებით. ამ პერიოდში კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ რაიონებში (ქუთაისი, ზესტაფონი) თვის ნორმის ოდენობის და მეტი ნალექი მოვიდა, ხოლო 18-20 იანვარს სამ დღეში მოსული ნალექების რაოდენობა მრავალწლიური საშუალო მაჩვენებლების 70-80%-ს აჭარბებდა.

6 და 8 იანვარს აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან რაიონებში აღინიშნა ძლიერი ქარბუქი. რთული მეტეოროლოგიური პირობების და შეზღუდული ხილვადობის გამო, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გარკვეულ მონაკვეთებზე (ფარავნის უღელტეხილი, გუდაური-კობის მონაკვეთი) დროებით შეზღუდული იყო ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.



ნახ.1. იანვრის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურის ანომალიები საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში



ნახ.2. ატმ. ნალექების იანვრის თვის ჯამების ანომალიები პროცენტებში საბაზისო პერიოდთან 1991-2020 წ.წ.) მიმართებაში